ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Hertie School Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში

---

29 აპრილი 2024

15-17 აპრილის საპროტესტო აქციების მონიტორინგის მოკლე ანგარიში

პროექტის - „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება საქართველოში მიმდინარე შეკრებებსა და მანიფესტაციებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას როგორც საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების, ისე მათი მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ქმედებების ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

ამ მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფი სხვადასხვა ლოკაციიდან აკვირდებოდა 15, 16 და 17 აპრილს ორგანიზებულ აქციებს - ,,არა რუსულ კანონს!”, აწარმოებდა აქციის მსვლელობისას განვითარებული მოვლენების ფოტო-ვიდეო დოკუმენტირებას და აღწერდა დიდი რაოდენობით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მობილიზების, აქციაზე მომხდარი ცალკეული ინციდენტების აღმოსაფხვრელად არაპროპორიული ძალის გამოყენების, აქციის მონაწილეთა უკანონო დაკავებებისა და უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების შემთხვევებს - როგორც ამ დღეების პირველ, ისე მეორე ნახევარში.

აქციებს აორგანიზებდნენ ან/და სპონტანურად უერთდებოდნენ სხვადასხვა ჯგუფები, სამოქალაქო მოძრაობისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენლები. დაგეგმილი აქციის შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა სოციალური მედიის და კომუნიკაციის სხვა არხებში შექმნილი ჩატების საშუალებით; შეკრების მომდევნო თარიღსა და დროს, ასევე, აცხადებდნენ ორგანიზატორები თითოეული აქციის დასასრულს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ანგარიშების თანახმად, აქცია დაიწყო ორშაბათს, 15 აპრილს, დილის 10:00 საათიდან, პარლამენტის უკანა შესასვლელლთან. აქციის მიზანი იყო პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გაპროტესტება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მისი განხილვის პარალელურად. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს პარტია ,,ხალხის ძალამ” წარმოადგინა იდენტური კანონპროექტი, რომლის მიღებაზეც მოუწია უარის თქმა 2023 წლის 7-9 მარტის მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ. ამ

საპროტესტო აქციების შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება[1] და, ასევე, მონიტორინგის მოკლე ანგარიში სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით.[2]

2024 წლის 15 აპრილს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტის პლენარული სხდომისთვის გადაცემის საკითხს.[3] მომდევნო დღეს, პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე დაიწყო კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა,[4] ხოლო 17 აპრილს მას მხარი 83 დეპუტატმა დაუჭირა. ისე როგორც 2023 წლის თებერვალში, ამჯერადაც პარლამენტში რეგისტრირებისთანავე მწვავე კრიტიკა მოჰყვა „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივას - როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის,[5] ისე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.[6] საზოგადოებამ კი მძაფრი პროტესტი გამოხატა პარლამენტის წინ მრავალათასიანი შეკრების სახით.

საპროტესტო აქციების თითოეულ დღეს განსხვავებული იყო პოლიციელებისა და მონაწილეების რაოდენობა, მათ შორის - დღის სხვადასხვა მონაკვეთებში. კერძოდ, დღის პირველ ნახევარში დაგეგმილი აქციების მსვლელობისას, პარლამენტის უკანა შესასვლელთან შეკრებილი მონაწილეების მაქსიმალური რაოდენობა იყო დაახლოებით, 300 ადამიანი; დროის გარკვეულ მონაკვეთებში ადგილზე

---

[1] ადამიანის უფლებათა ცენტრი, *ერთობლივი განცხადება საქართველოში საპოლიციო ძალების მიერ მოქალაქეთა საპროტესტო აქციის დაშლის თაობაზე*, 1 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/507/geo/ [18.04.2024].

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრი, *მოკლე ანგარიში პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით*, 31 ოქტომბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/567/geo/ [18.04.2024].

[3] საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს მხარი დაუჭირა, 15 აპრილი 2024, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/iuridiul-sakitkhta-komitetma-utskhouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesakheb-kanonproekts-mkhari-dauchira [18.04.2024].

[4] საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა დაიწყო, 16 აპრილი 2024, https://parliament.ge/media/news/parlamentma-utskhouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesakheb-kanonproektis-pirveli-mosmenit-gankhilva-daitsqo [18.04.2024].

[5] იხ. პროევროპული ოპოზიციური პარტიები საერთო განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4aAT9oR, [22.04.2024].

[6] იხ., მაგალითად: რადიო თავისუფლება, *ჯოზეპ ბორელი და ოლივერ ვარჰეი: "საბოლოოდ მიღება უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ევროკავშირისკენ სვლაზე"*, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32909345.html [22.04.2024]; იხ., ასევე: რადიო თავისუფლება, *"უცხოეთის აგენტების" კანონპროექტი დარტყმას აყენებს სამოქალაქო საზოგადოებას და საქართველოს გადაიყვანს ევროპული გზიდან - მეთიუ მილერი*, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32906551.html [22.04.2024]; Civil.ge, *„უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის ხელახლა ინიცირებას საერთაშორისო გამოხმაურებები მოყვა*, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/589841 [22.04.2024].

მობილიზებულ სამართალდამცავთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა პროტესტის მონაწილეებისას. სამივე დღეს, 19:00 საათისთვის, მკვეთრად იზრდებოდა ხალხის რაოდენობა და მონაწილეთა დიდი ნაწილი იკრიბებოდა პარლამენტის შენობის წინ, რასაც თან სდევდა რუსთაველის გამზირის გადაკეტვა. გარდა ამისა, 16 აპრილს, მონაწილეთა ნაწილი შეკრებილი იყო პარლამენტის გვერდითა შესასვლელებთან - ჭიჭინაძისა და 9 აპრილის ქუჩებზე, რომლებიც პოლიციელებმა სრულად გადაკეტეს, შესაბამისად, 19:30 საათსა და 20:07 საათზე. ადამიანის უფლოებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, 16 პარილის 21:00 საათისთვის, შსს-ს სპეციალური ქვედანაყოფის თანამშრომლებს, ასევე, გადაკეტილი ჰქონდათ 9 აპრილისა და იგნოროყვას ქუჩები.

ამისგან განსხვავებით, 17 აპრილს, გადაკეტილი იყო მხოლოდ რუსთაველის გამზირი (აქციის მონაწილეების მიერ), ხოლო საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის აბსოლუტური უმრავლესობა, ასევე, ე.წ. დაკავების მინივენები მობილიზებული იყო მხოლოდ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის (კანცელარიის) მიმდებარედ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა რამდენიმე მინივენი დააფიქსირეს "გალერია თბილისის" ავტოსადგომის ტერიტორიაზეც. იმავე ადგილას, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა კანცელარიის ტერიტორიაზე შენიშნეს შსს-ს სპეციალური დანაყოფის თანამშრომელთა მცირე რაოდენობა.

15-17 აპრილის აქციების მსვლელობისას, განსხვავებით 2023 წლის 7-9 მარტის პროტესტებისგან, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პოლიციის პასუხისმგებელი პირები ადგილზე ფასილიტაციას უწევდნენ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების გადაადგილებას. ამასთან, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რამდენიმე არაიდენტიფიცირებულ პირს ჰქონდა აქციის მონაწილეთა პროვოცირების მცდელობა - მათ შორის, შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით. თუმცა, პოლიციის თანამშრომლებმა ისინი განარიდეს ადგილს, რათა აღეკვეთათ ფიზიკური დაპირისპირების რისკი. ასევე, მონიტორებს ხელი არ შეშლიათ საქმიანობის განხორციელებაში.

საპროტესტო აქციის სამივე დღეს, ადამაინის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა პარლამენტისა და კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე დააფიქსირეს წყლის ჭავლის მანქანები, ე. წ. „დაკავების მანქანები" და გადაიღეს ფოტოები, რომლებზეც შსს-ს თანამშრომლების აღჭურვილობას შორის ნათლად ჩანს არალეტალური იარაღი (რეზინის ტყვიების გამოსაყენებლად). ამასთან, 16 აპრილის ღამეს და 17 აპრილის ღამის 00:30 საათისთვის, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, აქციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, პარლამენტის უკანა შესასვლელთან და ზურაბ ჟვანიას ქუჩაზე, შსს სპეციალური დანაყოფის თანამშრომლები არაპროპორციული რაოდენობით იყვნენ მობილიზებულნი. აღსანიშნავია, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სახელმძღვანელო პრინციპების (შემდგომში „OSCE/ODIHR")

თანახმად, პოლიციელთა არაპროპორციულმა და გადაჭარბებულმა ჩარევამ დაძაბულობის შემცირების ნაცვლად, შესაძლოა, პირიქით - შექმნას კონფრონტაციული სიტუაცია და შესაძლო კონფლიქტის დეესკალაციის ნაცვლად, გამოიწვიოს მისი გამძაფრება.[7]

2023 წლის 7-9 მარტის აქციებისგან განსხვავებით, 15-17 აპრილის არ მომხდარა მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მასობრივი დარბევა, წყლის ჭავლის ანდა რეზინის ტყვიების გამოყენება. პოლიციელების ქმედება, უმეტესწილად, მიმართული იყო აქციაზე დაფიქსირებული სავარაუდო სამართალდარღვევის ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირების და არა მთლიანი აქციის დაშლისკენ. ამასთან, მართალია, 15 აპრილს, დაახლოებით 21:40 საათზე რამდენჯერმე გაჟღერდა გაფრთხილება სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამას შსს-ს თანამშრომლების შესაბამისი ქმედება არ მოჰყოლია. გაფრთხილების მოწოდება ისმოდა საპროტესტო აქციის მხოლოდ იმ ტერიტორიის მიმდებარედ, სადაც განთავსებული იყო აქციის დაშლისთვის საჭირო ტექნიკა და შესაბამისი ძალები, ხოლო მისგან მოშორებით, ასევე, სცენასთან, აქციის მონაწილეებისთვის არ იყო აღქმადი აღნიშნული მოწოდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, გამოიკვეთა შეკრების თავისუფლების უხეში დარღვევები: აქცია სამივე დღის განმავლობაში სრულად მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მათ შორის - 16 აპრილის 22:00 საათისთვის, როდესაც შსს-ს თანამშრომლებმა პარლამენტის უკანა შესასვლელთან პირველად გამოიყენეს წიწაკის სპრეი მონაწილეთა დასაშლელად და 17 აპრილს 00:40 საათისთვის, სპეციალური საშუალებების მეორედ გამოყენებისას. ამ დროს არ არსებობდა შეკრების დაშლის საფუძველი, მით უფრო - სპეციალური საშუალების გამოყენებით. ამასთან, 16 და 17 აპრილს, შსს-ს თანამშრომლებმა, გაფრთხილების გარეშე, რამდენჯერმე უსაფუძვლოდ გამოიყენეს წიწაკის სპრეი,[8] რაც წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობით[9] და OSCE/ODIHR-ის სტანდარდებით[10] დადგენილი მნიშვნელოვანი მოთხოვნების დარღვევას.

---

[7] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Report on Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States (May 2011 – June 2012), 9 November 2012, para. 201, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/smw90 [05.09.2023].

[8] იხ. ტვ პირველის მიერ გავრცელებული კადრები, რომელიც ასახავს მიხეილ რამიშვილის წინააღმდეგ წიწაკის სპრეის გამოყენებას, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/share/v/neFEg2F5h5PwHheU/?mibextid=WC7FNe [22.04.2024].

[9] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის No. 1002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მე-7 მუხლი.

[10] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Human Rights Handbook on Policing Assemblies, Warsaw, 2016, გვ. 103, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/m5t9g [17.09.2023].

16-17 აპრილის საპროტესტო აქციების დროს 18 ადამიანი დააკავეს.[11] დაკავებულთა შორის პარტია "გირჩი - მეტი თავისუფლების" წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა მიმართ, პარტიის თავმჯდომარის განცხადებით, განხორციელდა ფიზიკური ძალადობა.[12] ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მონახულებული 16 პირიდან 11 მიუთითებდა არასათანადო მოპყრობის და არაპროპორციული ძალის გამოყენებაზე და ითხოვდნენ რეაგირებას.[13]

სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდებოდა როგორც ჟურნალისტების, ისე აქციის მონაწილეების მიერ გადაღებული კადრები, რომლებიც ასახავს შსს-ს წარმომადგენლების მიერ აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტებს.[14] მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასევე სცემეს „ტაბულას", „პუბლიკისა" და „აპრილის" ჟურნალისტებს.[15]

17 აპრილის ღამეს, პოლიციელებმა, ძალის გამოყენებით, შეკრების ადგილიდან განარიდეს პარლამენტის მოქმედი დეპუტატი, ალეკო ელისაშვილი.[16] მისი თქმით, დაკავების მომენტში პოლიციამ „გამეტებით სცემა".[17] აღნიშნულთან დაკავშირებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პრესცენტრის განცხადების

---

[11] იხ. ინფორმაცია აქციების დროს დაკავებული პირების შესახებ, რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JvVmWU [22.04.2024].

[12] იხ. Formulanews.ge, ხელმისაწვდომია: *ზურა ჯაფარიძე: ყველა დაკავებული ნაცემია - "დაკავების დროს მოხვდა" არა, ნაცემია*, 17 აპრილი 2024, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/109494 [22.04.2024].

[13] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 16-17 აპრილის აქციის მონიტორინგის პირველადი შედეგები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Jujw3T [22.04.2024].

[14]იხ, აქციის მონაწილე სპეცრაზმელებმა წააქციეს და სცემეს, ფორმულა, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=970013414795480 [22.04.2024]; იხ. აქციის მონაწილე დაშავდა და იდაყვი აქვს მოტეხილი, პუბლიკა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49SB5W2 [22.04.2024]; იხ. არა რუსულ კანონს! — სპეცრაზმი მოქალაქეს უსწორდება, ფორმულა, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1018740922986734 [22.04.2024]; იხ., ასევე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტა ასოციაცია, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ვიცავთ ყველა დაკავებულის უფლებებს, 17 აპრილი 2024, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/qartuli-arasamtavrobo-organizaciebi-vicavt-yvela-dakavebulis-uflebe#sthash.7hN6Fa58.3TZl30y1.dpbs [18.04.2024].

[15] აპრილი მედია, *საქართველოს სახალხო დამცველის კომენტარი აქციის დროს ჟურნალისტების ცემის და მათ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებთან დაკავშირებით,* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3UqzhPI [22.04.2024].

[16] რადიო თავისუფლება, *პოლიციამ ალეკო ელისაშვილი აქციიდან ავტომანქანით გაიყვანა*, 18 აპრილი 2024, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32909837.html [22.04.2024].

[17]რადიო თავისუფლება, *ელისაშვილი ამბობს, რომ პოლიციელებმა „გამეტებით სცემეს"*, 18 აპრილი 2024, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32910513.html [22.04.2024].

თანახმად, დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის საფუძველზე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).[18]

კვლავ ტენდენციად რჩება დაკავებულებისთვის დაკავების შესახებ ოჯახის წევრებისთვის და ადვოკატისთვის შეტყობინების უფლების შეზღუდვის შემთხვევები. დაკვირვების პერიოდში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უცნობი იყო დაკავებულების ადგილსამყოფელი.[19] ასევე, ტენდენციის სახით გამოიკვეთა, რომ, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე,[20] აქციაზე დაკავებულ მონაწილეებს სასამართლოში წარდგენის დრო უხანგრძლივდებოდათ 48 საათამდე, ხოლო იმ პირებს დაკავების ვადა, რომლებიც ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს, ზუსტად 24 საათს შეადგენდა. ორივე შემთხვევა ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, უარყოფით ტენდენციას წარმოადგენს აქციის ფასილიტაციისთვის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების გამოყენება, მათი მუშაობის სპეციფიკის და კომპეტენციის გათვალისწინებით.

<u>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართავთ რეკომენდაციით:</u>

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

- უზრუნველყოს შსს-ს თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებასთან დაკავშირებული შემთხვევების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება;

- მოახდინოს სწრაფი რეაგირება აქციის მიმდინარეობისას ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ასევე, ძალადობის ფაქტებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

---

[18] რადიო თავისუფლება, *ალეკო ელისაშვილზე თავდასხმის საქმის მოკვლევა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო,* 18 აპრილი 2024, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32911053.html [22.04.2024].

[19] იხ., მაგალითად: რადიო თავისუფლება, *აქციაზე დაშავებული ლევან ბუდაღაშვილი წერს, რომ კლინიკაში მასთან ერთად არის პოლიციის მიერ ნაცემი მასწავლებელი, რომელსაც ვერ პოულობდნენ,* ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32909019.html [22.04.2024].

[20] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

- უზრუნველყოს აქციის მონაწილეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული მშვიდობიანი შეკრების უფლების რეალიზება და არ დაუშვას უფლებაში თვითნებური ჩარევა;

- არ გამოიყენოს სპეციალური საშუალებები მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ და იმოქმედოს აქციის მიმდინარეობისას ცალკეული სამართალდარღვევის შემთხვევების აღმოსაფხვრელად;

- არ დაუშვას აქციის მონაწილეების დაკავების მიზნით ე.წ. „დევნის ოპერაციის“ განხორციელება, რომელიც ძალის გადამეტების სახეს იღებს;

- პატივი სცეს დაკავებულ პირთა უფლებებს და არ გამოიყენოს დაკავებული პირის მიმართ არაპროპორციული ძალა; ასევე, დაასაბუთოს აქციის მონაწილეების დაკავების კანონიერების საკითხი დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.